ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 6

ქ. ონი 28. 06. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე.

არ ესწრებოდნენ: ლევან ორდინიძე, თეიმურაზ ცეცაძე, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ირინა გობეჯიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: გივი მეტრეველი- კომისიის თავმჯდომარე/

6. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, შუქურა ჯაფარიძისათვის თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვასილ მეტრეველი-ფრაქცია-,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რომელთა შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით საჭიროა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები-„ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დაბრუნდეს უკან და შესაბამისად არ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი.

გადაწყდა: ბიუროს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი განკარგულების პროექტები **1. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** და **2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** დაბრუნდეს უკან და არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გარკვეული უზუსტობების შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: გივი მეტრეველი- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 6. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, შუქურა ჯაფარიძისათვის თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას აცნობა, რომ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ შუქურა ჯაფარიძემ 2022 წლის 17 ივნისს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. განცხადების საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის ნომერია 79-7922168001 თარიღი: 17/06/2022. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, შუქურა ჯაფარიძეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე ვადამდე შეუწყდება განცხადების საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან, 2022 წლის 18 ივნისიდან, რასაც საკრებულო იღებს ცნობად და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვასილ მეტრეველი-ფრაქცია-,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას აცნობა, რომ კანონის შესაბამისად კომისიების შემადგენლობაში შევიდა ცვლილება, კერძოდ, საფინანსო-საბიუჯეტო და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობას დაემატა შუქურა ჯაფარიძე, განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობას-ალავერდ ხვედელიანი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობას- გიორგი მარკოიშვილი.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე